განკარგულება:**გ-37.37220825**
თარიღი:**23/03/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №24

23 მარტი 2022 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოდ განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106[1] მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 118-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებას თანდართული რეგლამენტის მე-3 მუხლის მ-7 პუნქტის „3“ ქვეპუნქტის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების შესახებ.

მუხლი2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია“ განისაზღვროს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოდ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5. განკარგულების პირველი მუხლი ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6. განკარგულების მეორე მუხლი ძალაშია 2022 წლის 2 მაისიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი